# სახალხო გაზეთი

№ 796 შაბათი, 12 იანვარი 1913 წ. № 796

ტფილისი

**განცხადების ფასი** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) უცხოეთის მწერლები 400 გვ.)

2) ქართველი მწერლები (500 გვ.)]

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

და ნარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

**მარიამ კონსტანტინეს ასული ჯაჯანაშვილისა** შვილებთურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 იანვარს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი დედისა და მეორეთა—დიდედისა

**პელაგია** იოსების ასული **ჯაჯანაშვილის**

სულის მოსახსენებლად. 1022.

### სადღესასწაულო წარმოდგენა

**ტელეფ. № 795. ქართული თეატრი** წარმოდგ. № 42.

**ორშაბ.**, 14 იანვ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ გაიმართება

**საღამო-მეჯლისი** 4 განყოფილებად:

1) ბ-ნი ს. კაკაბაძე წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: **ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში წმ. ნინოს მიერ.**

2. ცოცხალი სურათი.

3) **არ გათეთრდება ყორანი.** სურათები სოფლის ცხოვრებიდან ვ. გუნიასი.

**ღამის თევა, წვეულება, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, სიმღერები** და სხვა გასართობები.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი.

4. დივერტისმენტი.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ბ. ახოსპირელი, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ი. ევდოშვილი, ალ. ყანჩელი, ვ. შალიკაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** **ქართ. დრ. საზ. ადმ.**

ხუთშ., 17 იანვ., დამსახურებულ მსახიობის **კ. მესხის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: **„ოტელო“.** 1013

**ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.**

კვირას, 13 იანვარს 1913 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **მეორედ** წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა

I. **ცისცინათელა** დრამა 4 მოქმედებად.

II **სიკვდილი ნაპოლეონისა**

პიესა 1 მოქმ. თარგმანი ფრანგულიდან გრ. აბაკელიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ჟვიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილებ. ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

**ანონსი:** ხუთშაბათს, 17 იანვარს, დამსახურებული არტისტის **კ. მესხის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ოტელო“ 1012

**ახალი კლუბი**

**შაბათს, 12 იანვარს 1913 წ.**

**მასკარადი**

**საუკეთესო ტანისამოსისთვის დანიშნულია ორი ჯილდო.**

მასკებმა ბილეთებისთვის კეთილ ინებონ და მიმართონ კლუბის შვეიცარს. ქალთათვის მასკები სავალდებულოა ღამის პირველ საათამდე. მოცეკვავეთათვის ტანისამოსის ფორმა: ერის კაცთათვის - ვიცმუნდირი, ფრაკი და ეროვნული ტანისამოსი. 1017.

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მემკვიდრეობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ავლაბრის სახალხო თეატრი**

კვირას, 13 იანვარს 1913 წ., ავლაბრის ქართ. სახ. წარმოდგენების მმართ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**პატარა კახი**

ისტორიული დრამა 5 მოქ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებს წრესთან არსებული მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 4 კ-დან 50 კ-მდე.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით. მორ. გამგე **ა. ლანდია.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: „ქოჩრიანი ტოროლა“, „(ახოვრ)ების გმირი“, „რევიზორი“ და „სამეგრელოს მთავარი ლევან“. 1636.

**შაბათს, 12 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება**

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების მორიგი კრება**

ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე.

ბ-ნი **მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს **მოხსენებას:** **„ესთეტიკის ძირითადი საფუძველნი“.**

მოხსენების შემდეგ გაიმართება **ბაასი** ამ თემაზე. 1012

**ზორი**

რადგანაც **გამოცემელი ამხანაგობა** „ქართლი“ ახალ, საკუთარ სტამბას აწყობს და ახალ მანქანებს სდგამს, ამის გამო,

გაზეთი **„ქართლი“**

**იანვრის ოცამდე შეჩერდება.**

ხელის მომწერთ დანაკლისი წლიურ განმავლობაში შეუსრულდებათ.

1022 **„ქართლის“ რედაქცია.**



ახლად გამოვიდა

**პაპიროსები**

**„ეგიპეტსკია“**

**ძმათა „სეილანოვების“ ქარხნისა.**

ეტიკეტი წარდგენილია ვაჭრ.-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში. 1531

**საბავშვო ბაღი**

**ანასტასია გედევანიშვილისა**

მიიღებენ ბავშვებს 5—7 წლამდე

ყოველ დღე. 1015.

**„განათლების“ საზოგადოება**

ამით აცხადებს, რომ იანვრიდან ამ 1913 წელს

**მიიღებს მსურველთ სახელოსნოში**

შემდეგ დარგების შესასწავლად:

თეთრეულის კერვა, კალათების დაწვნა, არშიებისა და ჩულქას ქსოვა. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე 11 საათ. პირველამდინ.

**მისამართი:** სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6. 1006

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (ბანოვის ქ. კუთხ.). ტელეფ. 7—92. 847

**საბურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ...ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის ადრეზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 2020

**ვასწავლი ქართულ „სიმღერა-გალობას“**

ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, **მიხეილ კავსაძესთან.** 886

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა** და გადაღება რენტგენის სხივებით, ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 122

**ექიმი ი. ქ. აბაკელია**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ.

**ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა № 3. ს. ბაბაშვილისა

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელიზაბედ. ქ. № 0.. კიროჩნი ქუჩის ახლო, .... 102

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე ... № 6.

## ქართული პრესა

„ჩვენი დროება“ მარშლის არჩევას ეხება და სხვათა შორის სწერს:

„ორის დღის შემდეგ ტფილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში მარშლის ასარჩევად პირის-პირ შეხვდება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა ორი მოპირდაპირე ბანაკი. მათ შორის ისეთი ღრმა უფსკრულია ჩათხრილი, რომ ვერავითარი შერიგების სურვილი ვერ ამოავსებს და ვერ გადაიდება ხიდი მათ შესაერთებლად!“

ამის შემდეგ გაზეთი სწერს:

„ვცდილობთ რა მხედველობაში იმ ახალ ძალას, იმ გადმოხრას ქართველთ საეროვნო საქმეებისკენ, ქართველ ხალხის სიყვარულისკენ სიტყვით და საქმით, რომელიც გამოიჩინა უფრო ქართველ თავად-აზნაურთა სადეპ. საკრებულოს საქმეებში შეკრილმა ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფის ახალ-გაზრდობამ, ჩვენი სურვილი იხრება იმ კანდიდატისკენ მარშლის თანამდებობაზე, რომელსაც ეს მხარე წამოაყენებს“.

როგორც სჩანს, „ახალი დროება“ ბრმად ემორჩილება „იმ ჯგუფს“ გადაწყვეტილებას, რომელმაც ახალი ნაკადული უნდა შეიტანოს დეპუტატთა საკრებულოში. არ ვიცით, რა ჯგუფია ეს ჯგუფი, დღესაც არ ვიცით, ვის ასახელებს იგი კანდიდატად. ვიცით მხოლოდ, რომ ყუთის დადგმას აპირებენ თავ. პ. ი. თუმანიშვილი და თავ. ბაგრატიონ დავითიშვილი. თუ „ახალ დროება“-საც ამ ჯგუფის კანდიდატად თავ. პ. ი. თუმანიშვილი მიაჩნია, მაშინ საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ განვაცხადოთ, რომ თავ. პ. ი. თუმანიშვილის არჩევა მარშლად, ისევე როგორც თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილისა ბოროტება იქნება, რომელსაც მიუდგომელი და სერიოზული ნაწილი ქართველ საზოგადოებისა უსათუოდ დაჰგმობს. არც ერთი და არც მეორე, ყველა იმის შემდეგ, რაც მოჰხდა, ღირსი არ არიან მარშლობისა.

* * *

„მერცხალი“ გვიკიჟინებს, რადა ხართ ყრთავად ხუმრობის გუნებაზეო. ჩვენ კი, მათ შემყურეთ, ბევრი რამა გვაქვს სახუმარო, მაგრამ „იმერეთი“ ვერ უნდა დადგეს ხუმრობის გუნებაზე, როდესაც „მერცხალში“ ასეთს რასმეს წაიკითხავს:

„თქვენ რომ არავითარ საშუალებას და თვით თქვენ **სინიდისსაც** (ხაზი ყველგან ჩვენია) არ დაზოგავთ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, ეს ხომ ქვეყანამ იცის. **ჭორსა და ცილისწამებას** ხომ ყოველ-დღე ანთხევთ ქაღალდის იმ ფურცლებზე, რომელთაც „იმერეთი“ ეწოდება. ისიც კარგად ვიცით, რომ **თქვენ არც პროვოკაციას ერიდებით**“.

რამდენად „პრინციპიალურია“ ასეთი კამათი და რამდენად ეკადრება ასეთი კილო მარქსის შეგირდებს, ამის გამოკვლევა მკითხველისთვის მიგვინდვია. მაგრამ ასეც რომ იყოს, „მერცხალი“ მაინც კმაყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ეს იქნება მისგან ნასწავლი და გადმოღებული საშუალებანი ბრძოლისა.

* * *

წარტო ამ სახელების სწავლა არ შეიძლება „მერცხალი“-საგან. იმისგან შეიძლება ვისწავლოთ პროტესტების წერაც. ჩვენ შეგვიძლიან დავსწეროთ დაახლოვებით ისეთი რამ, რაც „მერცხალი“-ს უკანასკნელ ნომერშია მოთავსებული:

„თქვენ, ბ.ბ., თუ კიდევ შეგრჩენიათ გამბედაობა და პირდაპირი მოქმედების უნარი, გვამცნეთ ვინათი (ე. ი. იმათი, ვისი სახელითაც ლაპარაკობდა ჩვენს გაზეთში ტფილისელი მუშა) ვინაობა და მით ნათელ-ჰყავით კითხვა. ეს არ წარმოადგენა ძათთვის არავითარ საფრთხეს, რადგანაც ჩვენ შორის ქილაძეები არ მოიძებნება. მხოლოდ საქმის ინტერესი გვაკარნახებს კითხვის სინათლეზე გამოტანა მოვითხოვოთ. თუ ამას არ იზამთ, მაშინ ჩვენ შესაფერ სახელს ვუწოდებთ თქვენს მოქმედებას. მედი გვაქვს სხვა დარგის მუშებიც „სახ. გაზეთი“-ს „მუშების ჯგუფს“ ანგარიშს მოსთხოვს“.

ნამდვილი „დერჟი მორდა“-ს ფსიხოლოგიაა. ანგარიში ჩაბარეთ „მერცხალი“-ს რედაქციას! მოვახსენებთ „მერცხალ“-ს იმუშას და ყველა იმათ, ვინც იმის შემდეგ გამოჩნდებიან ამ გაზეთის ჰორიზონტზე, რომ არავინ ვალდებული არ არის ანგარიში ჩააბაროს „მერცხალი“-ს რედაქციას. ყოველს ადამიანს ერთად ერთი ვალდებულება აქვს-თავისი სინიდისისა და რწმენის წინაშე. თუ ეს ვალდებულება არ გაქვთ ყოფილებთ, დაუცადეთ იმ დროს, როდესაც გამოღვიძებული მუშები თქვენ მოგკითხავენ ანგარიშს იმისთვის, რომ წლობით თვალს უხვევთ და თქვენი პარტიული ჟინიანობის მსხვერპლადა ჰხდით.

ვალდებულება თქვენგან ათვალწუნებულ სამშობლოს წინაშე უფრო დიდია, და მალე იძულებულნი გახდებიან ანგარიში ჩააბარონ იმათ, ვინც მის წინაშე შესცდა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** საკრებულომ შეადგინა 1912 წლის მოქმედების დაწვრილებითი ანგარიში და ამ დღეებში სამხედრო სამინისტროში ჰგზავნის. ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს შემდეგი: 1912 წელს გასაწვევი ყოფილა 1000 კაცი. მათში ყოფილა: რუსი—177, სომეხი—379, ქართველი—214, პოლონელი—14, ებრაელი 12, მაჰმადიანი—4 გერმანელი—3 და დანარჩენი სხვა და სხვა ეროვნებისა. სრულიად უვარგისი აღმოჩნდა და სამუდამოდ გაანთავისუფლეს 58 კაცი, ვადა გადაუდეს 155 კაცს, ხოლო მიიღეს 166. ამათში სომეხი 70 კაცია, რუსი—41, ქართველი—36, პოლონელი—1, ბერძენი—1, ოსი—2, ებრაელი—2 და მაჰმადიანი—2. რუსული და მშობლიური წერა-კითხვა იცოდა 102 კაცმა, მხოლოდ მშობლიური წერა-კითხვა იცოდა 8 კაცმა და სრულიად უსწავლელი იყო 45 კაცი.

— 10 იანვარს ქალაქის სამხედრო საკრებულომ შეამოწმა ის ახალგაზდანი, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად 1912 წელს იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადნენ. მიიღო ერთი. მისაღებია კიდევ 39 კაცი.

**სახლის პატრონთა საყურადღებოდ** ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა ცეცხლის მქრობელ რაზმს ფეჩების მილის გაწმენდისათვის აძლიონ 10 კაპ., ხოლო სამზარეულოს პლიტის მილების გაწმენდისათვის—20 კაპ.

**ათაშანგთან ბრძოლა.** ტფ. ექიმთა თაოსნობით განზრახულია დაარ-

ხება ამიერ-კავკასიაში ათაშანგთან მებრძოლ საზოგადოებისა.

**გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა შეიმუშავა ღონის-ძიებანი და ამ საგნის შესახებ მოხსენება დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის გამგეობას.

**კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ** დღეს სახაზინო თეატრში წარმოდგენა გაიმართება, ხოლო წარმოდგენას მიჰყვება საღამო „ტფ. კრუჟოკში".

**ქალაქის საბჭოს** 1912 წელს 53 კრება ჰქონია. გაურჩევია 384 საქმე. თვითეულ კრებას საერთოდ 43 ხმოსანი ესწრებოდა. ყველა კრებას მხოლოდ ოთხი ხმოსანი დასწრებია: კეილი, სულაბერიძე, მიტკევიჩი და ჯაბარი. 49 კრებას დასწრებიან: გოთუა, ხარაზიანი, ქანანოვი და ჭრელაშვილი. ყველაზე ნაკლებს კრებას ხმოსანი კაზაკოვი დასწრებია (13 კრებას).

**ახალი ეკლესია.** ვერაზე, ეგრედ წოდებულ „დედაბერის ველზე" უკვე დაასრულეს წმ. მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიის შენობა, რომელიც ამ დღეებში სიონის საკათედრო ტაძრის მეკარემ დეკანოზმა ა. თოთიბაძემ დაათვალიერა. ეკლესიას მოკლე ხანში აკურთხებს საქართველოს, ეგზარხოსი ინოკენტი.

**საბოტანიკო ბაღის მუზეუმმა** ამ რიცხვში ე. ვ. მილოვისაგან მიიღო კოლექცია სხვა და სხვა ხისა (20 ცალი). ამას გარდა მიიღო გაქვავებული ხე და კიშელგური (თეთრი მიწა).

**ქალაქის საქმეთა საგუბერნიო** საკრებულო ქალაქის 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას 14 იანვარს შეუდგება.

**ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** გუშინ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც საბჭო გამგეობას ნებას აძლევს, 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვით იხელმძღვანელოს.

**მატინოვისეული პაიები.** ქალაქს განსვენებულმა მატინოვმა 480 პაი დაუტოვა ფითოევის სააქციონერო ამხანაგობისა. თვითეულ პაის ნომინალური ფასი 250 მანეთია. ამ დღეებში პაიების გაყიდვის თაობაზე შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს საფინანსო, სამეურნეო და სარევიზიო კომისიებს. კრებამ გამოარკვია, რომ თვითეულ პაის გაყიდვა ამ ჟამად შესაძლებელია 325—350 მანეთად. ფული სახალხო განათლებას უნდა მოხმარდეს, ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, მოიცადოს, სანამ პაის ფასი უფრო აიწევდეს.

**შემწეობა.** ქალაქის თვითმმართველობა ყოველ წლივ ოც-ოც თუმანს ერთდროულ შემწეობას აძლევს იმ პირთ (ოც კაცს), რომელნიც ტფ. რეალურ სასწავლებელს ასრულებენ და უმაღლეს სასწავლებელში შედიან. წელს ქალაქის გამგეობამ ეს შემწეობა დაუნიშნა პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტს მიხეილ კისელიოვს და პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტს სერგი ხაჩატუროვს.

**საბირჟო ცნობები.** 11 იანვარს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5 პროც. ობლიგაციებისა—აფასებენ — 85 მან. 50 კ., აძლევენ 84 მ. 75 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5 პროც. გირავნობის ფურცლებისა—აფასებენ 82 მ. 60 კ. აძლევენ 82 მან., ქუთაისის სათავად-აზნ ური საადგილ-მამულო ბანკის 5 პროც. გირავნობის ფურცლებისა—78 მ., აძლევენ 77 მ. 15 კ.

სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის სახელმწიფო ქაღალდების საკურსო ნორმები შემდეგია: მომგებიანი ქაღალდები: პირველ სესხისა 470 მ. (აიწია 1 მ.), მეორისა—373 მ. აიწია 5 მ. 50 კ.), მესამისა—320 მან. (აიწია 1 მ. 50 კ.) სხვა ცვლილება არ მომხდარა.

**ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის მთავარმა კანტროლიორმა ქალაქის გამგეობის წინაშე, შუამდგომლობა აღძრა რათა ტრამვაის დირექცია კიდევ 1,566 მ. დააჯარიმოს, რადგანაც ტრამვაის ვაგონების მოძრაობა 1-დან 8 იანვრამდე წესიერი არ იყო.

## საზოგადოებანი და კრებები

**წესიერი დასვენება.** დღეს კრება ექმნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას (11 კაცია), რომელსაც დავალებული აქვს, შეიმუშავოს სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო დ უჯგენილებათა პროექტი.

**ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** სექციის კრება 14 იანვარს, შუადღის 12 საათზე მოხდება ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის ახალ სასაქახოს საქმეების გასაცნობად.

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობის კრება 10 იანვარს მოხდა. კრება შეუდგა საზოგადოების 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

## სომხეთა ცხოვრება

**მსახიობ ა. არუთიუნიანის იუბილე.** წელს შესრულდა 25 წელი, რაც მსახიობი არშაკ არუთიუნიანი სომხურ სცენას ემსახურება. ამის გამო სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ საგანგებო კომიტეტი შეადგინა, რომელიც მსახიობის იუბილეს 4 თებერვალს მართავს „საარტისტო საზოგადოების" თეატრში. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარედ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი არის არჩეული.

## ქუთაისი

ქუთაისის ციხიდან ტუსაღების გაქცევის დაწვრილებით ცნობა ასეთია: ტუსაღების გაქცევა მოხდა ღამით. პატიმართ გაუხვრეტიათ სამრეცხველოს კედელი, რომელიც დაშორებულია ციხის მთავარ შენობაზე რამოდენიმე საჟენით. აქედან გადასულან საინჟინერო ეზოში: ტუსაღი ირადიონ კობრეიძე, რომელსაც 8 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი, კილასონია, რომელსაც 4 წ. გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი და გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი ნ. ცინცაძე, კობრეიძე და კილასონია დაუჭერიათ საინჟინერო ეზოში მდგომ ჯარისკაცებს ნ. ცინცაძე კი საინჟინერო ეზოდან გადამხტარა და გაქცეულა. სატუსაღოში, ამ ამბის შემდეგ წავიდა გუბერნატორი, პრალმდებელი, და პოლიცმეისტერი.

საფოსტო გამგეობამ დაადგინა გახსნას ქუთაისში განყოფილება, ამ განყოფილების შენახვა სამი წლით ქალაქმა იკისრა. ხარჯები, რომელიც მომავალ საფოსტო განყოფილების შესანახად ქალაქმა გადასდ... შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უკვე წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

სენატმა დაამტკიცა მიხეილ კოლაშვილის საქმე. მას ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ კაცის მოკვლისათვის ათი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი.

როგორც ყვირილიდან გვწერენ: ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყვირილის განყოფილების გამგეობაში მიუღია თხოვნები: ძირულის, წევის, და ილემის საზოგადოებათაგან, რომლითაც ზემოაღნიშნული საზოგადოებები სთხოვენ, დაარსონ სამკითხველოები. სამკითხველოების შესანახ ხარჯებს თვით საზოგადოებები კისრულობენ.

ბაქოში შესდგა კავკასიის კომიტეტი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მუშათა და მოსამსახურეთა დამზღვევ ამხანაგობის წესდების პროექტი. ამის შესახებ შავიქვის მრეწველთა საბჭომ წინადადება მიიღო ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოსაგან, გაგზავნოს თავის წარმომადგენელი ამ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. შავი ქვის საბჭომ აღნიშნულ კომიტეტში თავის წარმომადგენლად გაგზავნა კიტა აბაშიძე.

როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, დეპუტატი კარლო ჩხეიძე ავად გამხდარა ინფლუენციით.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა მოხდება ჭიათურაში 22 იანვარს.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე (4—5 იანვარს) განიხილა წინადადება ვლ. ალ. მესხიშვილის იუბილეის მომწყობი კომიტეტისა—იუბილეიში მონაწილეობის შესახებ—და დაადგინა: გაეგზავნოს იუბილიარს ტფილისში მისალოცი დეპეშა და აგრეთვე საჩუქრად ასი მანეთი.

გასული წლის დეკემბერში ჭიათურიდან გაუზიდნიათ: 5581020 ფუთი შავი ქვა, ამათში ბათუმიდან გაუტანიათ 1.930.020 ფ. ფოთიდან 3.077.060 ფ.

რაჭიდან მოსულებმა გადმოგვცეს—წელს რაჭაში საშინელი ზამთარია. დიდი თოვლი მოვიდა; მიმოსვლა თითქმის ყველგან შესწყდა.

ადმინისტრატიული პატიმრების განთავისუფლება. 6 იანვარს ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების აღსანიშნავად ქუთაისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა განთავისუფლებინათ ადმინისტრატიული ტუსაღები. როგორც გამოირკვა სულ გაუნთავისუფლებიათ: ლეჩხუმის ციხიდან 2, ქუთაისის—5, სენაკის—4, ზუგდიდის—6, ოზურგეთის—15, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან 5 -სულ კი 37 კაცი.

ამასთან ერთად შემცირებულ იქმნა ადმინისტრაციის მიერ ... ჯარიმები სოფლის საზოგადოებებზე და კერძო პირებზე. ყველაზე მეტი ჯარიმა უნდა გადაეხადა დვაბზუის საზოგადოებას (გურია) 3000 მანეთი ყაჩაღების შენახვისთვის, ამათში უკვე მოუკრებიათ 2600 მან. დანარჩენი 400 მანეთი საზოგადოებას ეპატია.

ახალი რკინის გზის ლიანდაგის გამოკვლევა. სოხუმში ჩავიდა ინჟენერი სტრაშინსკი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სოხუმ-ყუბანის მომავალი რკინის გზის ლიანდაგი, რომელმაც ინჟენერის აზრით, უნდა გაიაროს კლუხორის-უღელტეხილით.

დიდი-ჯიხაიშიდან გვწერენ:—ადგილობრივ ორ-კლასიანი სასწავლებლის უფროსი ბ-ნი ღოღობერიძე ბავშვებს ქართულად ლაპარაკს უკრძალავს და მოითხოვს მათგან რუსულად ილაპარაკონ, ჩანს დაწინაურება მოსურვებია.

როგორც ციხიდან განთავისუფლებულმა პატიმარმა გადმოგვცა, 9 იანვარს ქუთაისის ციხის საავადმყოფოში 45 ავადმყოფმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. მიზეზი ის არის, რომ სატუსაღოს უფროსის ერთ-ერთ თანაშემწეს პატიმარ ევგენი დვალისათვის ეცემნია. ნაცემი დვალი ექიმმა შეამოწმა.

გუშინ ქალაქის გამგეობამ ორმოც ქუთათურ ვაჭარს მისცა სავაჭრო მოწმობები. („მერცხ.")

## პასუხად „წყაროსა" და „მერცხალს."

„წყაროს" მკითხველო და გაზეთ ფხულის „მერცხალო!" რად აღელვებულხართ, რად დაეტაკეთ „სახალხო გაზეთს", რად იკადრეთ ცილის წამება? ინებეთ, ბატონებო, და მიიღეთ პასუხი ჩვენგან. მოგვეცით საშუალება, გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ყველა იმ მოვლენაზედ, რომელსაც კი კავშირი აქვს ჩვენს ეროვნულსა და კლასიურ ცხოვრებასთან. ვიტყვით ჩვენს აზრს, მაგრამ თქვენ მაინც ვერ გაგვრიცხავთ მუშათა ოჯახიდან, მუშათა საერთო ტაძრიდან. გვათქმევინეთ ჩვენი მრწამსი და დაგვისაბუთეთ თქვენი. რა საჭიროა ლანძღვა და ჩვენი პიროვნების გაბრიაბრუება? ვფიქრობთ, უნდა მოგეძებნებოდეთ იმდენი ზნეობრივი და თეორეტიული ძალა, რომ ბრძოლის ასეთს არა საკადრის საშუალებას არ მიჰმართოთ. ჩვენს წერილში ისეთი არაფერი გვითქვამს, რაც ვისმეს შეურაცხყოფას აყენებდეს. ჩვენი მცირე სიტყვა გამოწვეული იყო გეგეჭკორის მოქმედებით; იგი რუსულ ორგანოებში უმართებულოდ მოექცა იმ იდეის მიმდევართ, რომელთა რწმენაშიაც ჩვენი ეროვნული „მეჯ"-ს დაცვასა ვხედავთ თეორეტიულ მსჯელობის ნაცვლად მან რუსულ გაზეთში დაიწყო თრევა იმ ხალხისა, რომელთა პოლიტიკური ავტორიტეტი და გამარჯვება მთელი ქართველი ხალხის სიკვდილიდან გადარჩენას უნდა მოასწავებდეს. აი ამან მიიპყრო ჩვენი ყურადღება და ამისთვის ვუთხარით ბ-ნ გეგეჭკორს, შეჩერდით, თორემ ჩვენც შეგვიძლიან ბევრი რამა ვსთქვათ თქვენი მიმართულების ხალხის შესახებაო. ჩვენ ვიცით ერთი მიმართულების პროგრამაც და მეორისაც, როცა საჯაროდ გამოვდივართ, კიდევ ვიცით, რასაც ვაკეთებთ. ჩვენ ეს განზრახვა შემთხვევით არ მოგვსვლია. არა, ბატონებო, ჩვენი ცხოვრების დაკვირვებამ მიგვიყვანა აქამდის, როდესაც გამოსვლა განვიზრახეთ, წინდაწინვე გვქონდა წარმოდგენილი თქვენი ძლიერი რისხვა. თუ კი ერთი თქვენი პრინციპიალურ ამხანაგი ბ-ნი ლ. დ. არ დაინდეთ და ისეთი ლანძღვა-გინებით შეხვდით, რომ დღესაც მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ მუშები, თუ კი მთელი რუსეთის მუშათა ცოცხალი ენერგია ფრაქციულ კინკლაობაში შთანთქეთ, ჩვენ რაღად დაგვინდობდით? მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინიან. მუშები მიშს ჩვეულნი არა ვართ. მაგრამ ერთს რამეს კი გთხოვთ. ჩვენი ... ლისთვის ნუ ლანძღავთ იმ ერთადერთს ქართულ ორგანოს, რომლის ტრადიცია შეადგენს ეროვნულ საკითხის გაშუქება მთელი ქართველი ხალხის წინაშე. მან თქვენშიაც შეარყია ჯიუტობის კედელი და მოახდინა ცვლილება. ეს მაინც მიიღეთ მხედველობაში. „სახალხო გაზეთი"-ს მე-768 ე ნომერში მოთავსებული ტფილისელი მუშის წერილი კერძო წერილი არ არის. ის მუშათა ჯგუფს ეკუთვნის და ისიც გაგცემდათ პასუხს, რომ თქვენს წერილებში რამე იყოს საპასუხო, მაგრამ იქ ლანძღვა-თრევის მეტი არაფერია.

ჩვენი წერილი გამოიწვია შეურაცხყოფილმა თავ-მოყვარეობამ. ხოლო ვინა ვართ და ვართ, ამას ჩვენი მომავალი მოქმედებიდან დაინახავთ.

რაიცა შეეხება მეთაურს წერილს „მერცხალი"-სას, რომელიც „სახალხო გაზეთს" ულტიმატუმს უყენებს, მუშების პასპორტები წარმოგვიდგინეთო, ამაზე მოგახსენებთ ნურას უკაცრავად, ამ მოთხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ. იჯარით ხომ არ აგვიღიათ ჩვენი თავი, რომ თვითოეულ ჩვენთაგანის შესახებ ანგარიში ჩაგაბაროთ? ღმერთი, რჯული გლეხებსა და მუშებს თქვენთან საიჯარო ხელშეკრულობა არ დაუდვიათ.

**ტფილისელი მუშა.**

## სასამართლო.

### თაგიევისა და სხვათა საქმე.

მოწმეების ჩვენება.

**მოწმე მასლოვი.** ბებუთოვი ცნახე კრებაზე მომხდარ ამბის შემდეგ მესამე დღეს. ფერმკრთალი იყო, აღელვებული. ამბობდა თაგიევთან სამსახურს თავს დავანებებ და მას სამართალში მივცემო.

**მოწმე ბეკერი.** ცემის ნიშნები ბებუთოვისთვის არ შემიმჩნევია, აღელვება და ფერმკრთალობა კი შევამჩნიე.

**მოწმე ფროლოვი.** ბებუთოვს ავადმყოფობა მისივე მეუღლისაგან გავიგე.

**მოწმე სპევაკი.** ბებუთოვთან ვიყავ იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე. ბებუთოვმა მიამბო წვალების შესახებ: ხელები თოკით შემიკრეს და მცემეს. მაგრამ გარეგნული შეხედულება არ ეთანხმებოდა იმ სულიერ განწყობილებას, რომლის შესახებაც ბებუთოვი ლაპარაკობდა.

**მოწმე ახუნდოვი.** ბებუთოვის მეუღლემ მიმიწვია. მაგრამ იმ დროს ავადმყოფებს ვიღებდი და მხოლოდ მეორე დღეს მოვედი. ბებუთოვი ლოგინში იწვა. მოვიდნენ სხვებიც და მაშინ ყველას გვიამბო თავისი თავ-გადასავალი. დალურჯებული ადგილები ჰქონდა ბებუთოვსა.

მოწმეების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ნაფ. ვექ. ბიკომა შუამდგომ-

---

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე**

**კარი II.** *)

**ბ.**

სამშობლოში დაბრუნებისათანავე დიმიტრი ყიფიანი განაგრძობს სახელმწიფო სამსახურს. ამ სამსახურს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აქ დიმიტრი ზედმიწევნით ეცნობება ჩვენს ქვეყანას და აქ, ამ სარბიელზე, რომელიც ჰკლავს სუსტს პიროვნებას და უკარგავს პირადობის ნიშანწყალს, გამოიჭედა და გაფოლადდა ხასიათი და პოლიტიკურ-ეროვნული აზროვნება დიმიტრი ყიფიანისა.

პირველ ხანში იგი გაანწესეს ქუთაისში, იმერეთის მმართველის, გენერალ ესპეხოს კანცელარიის მდივნად. ესპეხო, ჩამომავლობით ისპანიელი, ძლიერ სუსტი იყო რუსულ ენის ცოდნაში. და დიმიტრის ხელში იყო არა მარტო საქმის წარმოება, არამედ გამგებლობაც, რადგან გენერალი ესპეხო, რაკი დარწმუნდა რომ ჭკვიანი და მოფიქრებული თანამშრომელი ჰყავდა, ანიჭებდა მას მოქმედების სრულ თავისუფლებას. ეს განუსაზღვრელი თავისუფლება მოქმედებისა ცოტა არ იყოს აღონებდა და აფიქრებდა დიმიტრი ყიფიანს. მასში უკვე ღრმად იყო განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და ჰშიშობდა, ვაი თუ დიდი უფლებები, რომელნიც ჰქონდა ხელში, ისე ვერ მოეხმარა, როგორადაც ეს საჭირო იყო ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ დიდხანს არ დარჩა ქუთაისში, სადაც, ამასთან მიუხედავად დიდ უფლებებისა, ჯამაგირი სულ მცირედი ჰქონდა. დედ-მამის მდგომარეობაც აწუხებდა. წვრილ აზნაურიშვილს დიდი შემოსავალი არ ჰქონდა. დიმიტრი ჰგზავნიდა სახლში ათ თუმნამდე. და როდესაც ტფილისში მთავარმართებლის კანცელარიაში მოუმატეს ჯამაგირი და უზრუნველ ჰყვეს მატერიალურად, მეტ დახმარებას უწევდა თავის სახლს.

პირადი ღირსების გრძნობა საკვირველად ჰქონდა განვითარებული. პატივს სცემდა ადამიანის პიროვნებას და ამგვარსავე პატივცემას მოითხოვდა თავისთავისადმიც.

ახალ სამსახურში, მთავარმმართებლის კანცელარიაში, შესვლისთანავე შეტაკება მოუვიდა სამოქალაქო მმართველობის გამგესთან, გენერალ-ლეიტენანტ გურკოსთან.

— ჩემი ბრძანება აასრულეთ? მკითხა ერთხელ, როდესაც ქაღალდებს ვურდგენდი, მოგვითხრობს დიმიტრი.

— ნებას მივცემ ჩემ თავს და თქვენი სარგებლობის გულისათვის რჩევას მოგცემთ...

— როგორ ჰბედავთ და რაღაც რჩევას მაძლევთ?

— მაშ პირდაპირ მოგახსენებთ, სიტყვას ბრძანებლობას (повелѣніе) ნურასდროს ნუ გაახსენებთ.

— რატომაო.

— იმიტომ, რომ ერთად-ერთი ხელმწიფე-იმპერატორია, რომელიც ბრძანებლობს.

გურკო არ მოელოდა ამას.

— ჰო, მე მინდოდა მეთქვა-ჩემი განკარგულება (приказаніе).

— განკარგულება შეგიძლიანთ მისცეთ თქვენს „დენშჩიკს" და მოსამსახურეს, ჩვენკი ხელმწიფის მოხელენი ვართ.

— მაშ რა? მაშ როგორ უნდა ვილაპარაკო?

— თქვენ შეგიძლიანთ დაგვავალოთ, გვთხოვოთ და თქვენს თხოვნას ისე მივიღებთ, როგორც განკარგულებას. სამოქალაქო სამსახურში მკაცრი ლაპარაკის წესი არ არის მიღებული. როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, განათლება ცოტა არ იყოს, გვათანასწორებს"...

მაშ რა გასაკვირველია, თუ დიმიტრი! წინაპარი ქედ-მოუდრეკელად, „ყიფიანურად" ელაპარაკებოდა იმერეთის მეფეს. პირდაპირობა დიდი ღირსებაა, მაგრამ სამსახურში, თუნდ სამოქალაქოში, ამგვარ თვისებას არ აფასებენ. ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დიმიტრი ყიფიანი და არ ღალატობდა არც თავის ღირსებას, არც თავის პრინციპებს. სამსახურის დროს ხშირად უხდებოდა ხმის ამაღლება, როდესაც ჰხედავდა რომ საზოგადოებრივი ინტერესი იჩაგრებოდა. იმ ხანებში გამოირკვა ერთი საქმე, რომელშიაც დიმიტრიც ჩაერია.

საქმე ის არის, რომ 1830 წ. აღმოაჩინეს სათავად-აზნაურო ყალბ დოკუმენტების მკეთებელი საზოგადოება. თავად-აზნაურობის უფლებას უმტკიცებდა მთავრობა მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები ჰქონდათ. ამგვარი საბუთები, რა თქმა უნდა, ბევრს არ ჰქონდა. ხოლო ვინც არ წარმოადგენდა დოკუმენტს, იმას თავად-აზნაურობის ხარისხიც ეკარგებოდა. აი ამ ნიადაგზე გაჩნდა ბოროტ-მოქმედება — ფაბრიკაცია ყალბ დოკუმენტებისა. 1844 წელს გამოვიდა უკაზი, რომელიც არკვევდა, რა პირობები იყო საჭირო თავად-აზნაურულ უფლების აღიარებისათვის. უკაზის ძალით ბოროტ-მოქმედებას ბოლო ეღებოდა, ხოლო საქმე ისე გაართულეს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდებოდა თავად-აზნაურობის ხარისხის დამტკიცება. უკაზის ძალით საჭირო იყო: სიგელი თავად-აზნაურობის ბოძების შესახებ. სიგელის სინამდვილე ორმოცდარვა, მთავრობის მიერ ცნობილ, თავად-აზნაურს უნდა დაემოწმებინა ფიცის ქვეშ. ვინიცობაა, სიგელი დაკარგულიყო, მთელი გუბერნიის თავად-აზნაურებს უნდა დაემოწმებინათ, რომ ამა და ამ პირს მართლა ჰქონდა დოკუმენტი, ამა და ამ მეფის მიერ მოცემული და ამა და ამ დროს დაკარგული. ამ უკაზის ძალით რომ მოქცეულიყვნენ, საქართველოში თავად-აზნაურთა რიცხვი ფრიად შემცირდებოდა. დღევანდელის თვალით რომ შევხედოთ საქმეს, კარგიც იქნებოდა, ასე რომ მომხდარიყო, რადგან მე-XIX საუკუნეში ამ წოდებამ ვერ აასრულა რაიმე სოციალური ფუნქცია, მძიმე ტვირთად კი აწვებოდა ხალხს. მაგრამ იმ დროში საქმე სხვანაირად მოსჩანდა. დიმიტრი ყიფიანს, რომლისთვისაც თავად-აზნაურული ღირსება ცარიელი სიტყვა არ იყო, დიდ უბედურებად მიაჩნდა ამ ხასიათის უკაზის განხორციელება. იმ ხანებში (1845 წ.) მთავარ-მმართველობის კანცელარიაში იგი იყო განყოფილების უფროსად კანცელარიის დირექტორს, ვასილკოვსკის წარუდგინა მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ 1844 წ. უკაზი არღვევდა ერთ მუხლს იმგვარ აქტისას, როგორიც იყო მეფე ირაკლის და ეკატერინე დიდის შორის დადებული ტრაქტატი. კანონთა კრებულში, სადაც დაბეჭდილია ტრაქტატი, ჩართულია სია იმ გვარებისა, რომლითაც თავად-აზნაურებად სცნობდა მეფე ერეკლე. ეხლა საჭირო იყო მხოლოდ დამტკიცება, რომ ესა და ეს პირი ამა და ამ გვარს ეკუთვნის. ხოლო რადგან მეტრიკები ბევრს არა აქვს, ამიტომ ეს საქმე თვით თავად-აზნაურობამ უნდა გამოარკვიოს. თავად-აზნაურობა ირჩევს კომისიას. ამ კომისიაში მთავრობის წარმომადგენელნიც არიან. და ესენი გამოარკვევენ ყოველივეს. ამ პროექტს მხარი დაუჭირა თ. ვორონცოვმა, რომელიც ნამესტნიკობის უფლების ძალით შეაჩერა განხორციელება 1844 წლის უკაზისა. ხოლო 1846 წელს იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ინახულა და გააუქმებინა აღნიშნული უკაზი. დიმიტრის აზრმა გაიმარჯვა. აღნიშნულ კომისიებისთვის ინსტრუქციები უნდა შეემუშავებინათ და კომისიები უნდა შესდგომოდნენ საქმის მოწესრიგებას. ინსტრუქციების შედგენა ტფილისის გუბერნიისათვის დაევალა დიმიტრი ყიფიანს, რომელიც უკვე მთავარ-მმართველობის საბჭოს საქმეთა გამგედ იყო (Правитель дѣлъ Совѣта Главн. Управ.) ქუთაისის გუბერნიისათვის ინსტრუქციას კი ადგენდა საბჭოს წევრი, სემენოვი. ყიფიანმა სემენოვზე ადრე შეადგინა ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულ იქმნა ნამესტნიკის მიერ. სემენოვის ინსტრუქცია გადასცეს გენ. ლადინსკის გასაშინჯათ. ლადინსკი ყიფიანს დაეკითხა. ყიფიანის აზრით კი ეს ინსტრუქცია უმაღლეს მთავრობის გადაწყვეტილების გაუქმება იყო. „ეს იყო ჩემი პირველი შებრძოლება, ამბობს დიმიტრი, რუს-მოხელესთან, როდესაც მიხდებოდა დაცვა რუსეთის უმაღლეს მთავრობის გადაწყვეტილებისა—შებრძოლება გამოწვეული არა წორჩილების გრძნობით მთავრობისადმი (подобострастіе) არამედ „იმ რწმენით, რომ ამგვარი გადაწყვეტილებანი უნდა იყვნენ შეურყეველნი". შებრძოლება მოხდა თ. მიხ. თუმანიშვილის დასწრებით.

— ვასილი ნიკოლაევიჩ, მიუბრუნდი სემეონოვს. თქვენ ინსტრუქცია კი არ შეგიდგენიათ, რომელიც ნამესტნიკმა უნდა დაამტკიცოს, არამედ ახალი დებულება, რომელიც საკანონმდებლო წესით უნდა დაკანონდეს.

— გადაჭარბებულ ყურადღებას ფორმას აძლევთ (это придирка къ формѣ). ფორმის გასწორება შეიძლება. ეს არაფერია.

— ფორმის გამოცვლა საქმეს არ გამოსცვლის. ინსტრუქციაში მხოლოდ ის უნდა იყოს აღნიშნული, თუ როგორ განხორციელდეს ესა თუ ის კანონი, ან დებულება.

— სწორედ ეს არის ჩემს პროექტში.

— უკაცრავად, თქვენს პროექტში პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე ახალი დებულებაა აღიარებული, ახალი პრინციპები, რომელნიც ჯერ არსად ყოფილან განხილულნი. და ამ ინსტრუქციაში უმაღლეს უკაზის აზრი გახსენებულიც არ არის. თქვენ უყურადღებოდ სტოვებთ უკაზს, რომელიც უნდა განხორციელდეს.

სემენოვი წამოხტა, გამოუცხადა გენ. ლადინსკის, რომ ამგვარ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს და გარედ გავიდა".

სემენოვის ინსტრუქციის წყალობით, რომლითაც ხელმძღვანელობდა ქუთაისის კომისია, ორი წლის განმავლობაში, არევ-დარევის გამო, საქმე თითქმის შეფერხებული იყო. სემენოვი კი გადაემტერა ყიფიანს. საჭირო არის საბჭოში ისეთი კაცის დანიშვნა, რომელმაც უნდა ადევნოს თვალ-ყური საქმის მწარმოებელის, ყიფიანის მოქმედებასო. ამისთანა კაციც გაჩნდა, სამინისტროს იურისკონსულტი, როზოვი დაინიშნა საბჭოს სხდომა.

— მე ვხედავ, დაიწყო როზოვმა რომ აქ საქმეებს სწორედ არ აწარმოებენ (Дѣла здѣсь неправильно докладываются.)

— ყველანი გაშტერდნენ. მეც გამიკვირდა.

— საქმეების მოხსენება ამ წესით არ შეიძლება. აი სენატში საქმის თა-

*) იხილე „სახალხო გაზეთი" № 795.

ლობა აღძრა ექსპერტებმა საერთო ბჭობა მოახდინონ. აგრეთვე დამცველებმა წარადგინეს შემუშავებული კითხვები, რომელთაც უნდა მიმართონ ექსპერტებს.

**ბრალმდებელი.** არ ეთანხმება დამცველებს. ის გზა რომელსაც ოლქის სასამართლო დაადგა, სწორია. ექსპერტები გამოწვეულია ორივე მხრიდან. მათ ჩვენებაში შეურიგებელი წინააღმდეგობაა. ორივე ჯგუფმა თავისი მოსაზრება წარმოადგინოს და პალატაც იმას მიემხრობა, რომელსაც სიმართლედ დაინახავს.

**ნაფ. ვექ. ვონსვიჩი.** ბრალმდებლის აზრი შემცდარია, რომ თუ ექსპერტების მხარეებისაგან არის გამოწვეული მიდგომით განსაჯავენ. სამეცნიერო ექსპერტიზისათვის სულ ერთია ვინ გამოიწვია, ის მხოლოდ სიმართლის აღმოჩენას ემხრობა.

**ნაფ. ვექ. ზამისლოვსკი.** ბრალმდებელი მართალი არ არის როდესაც ამბობს, რომ ექსპერტების ჩვენებაში შეურიგებელი წინააღმდეგობაა. შეიძლება შეუთანხმებლობა იყოს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ შეერთებულ ბჭობას.

**ბრალმდებელი** წინააღმდეგია დამცველების მიერ წამოყენებულ კითხვებისა ექსპერტებისათვის.

**ნაფ. ვექ. ბარათაშვილი** კრიტიკას უშვრება ამ კითხვებს და ბრალმდებლის აზრს უერთდება.

პალატამ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დაადგინა: ექსპერტების შეერთებული კრება მოახდინოს და ექსპერტებისათვის ორი კითხვა შეიმუშავა:

1) როგორ ან რით მიაყენეს ბებუთოვს ტანზე ზიანი, და ხელებზე დალურჯებული ადგილები, რომელიც აღნიშნულია ექიმების ახუნდოვისა და სულთანოვის მიერ მიცემულ მოწმობებში (1911 წლის 11-სა და 14 ივნისს).

2) რა ხასიათისა იყო ეს ზიანი, და რამდენი იყო ამ ზიანისაგან ფიზიკური ტანჯვა და რა ხნის განმავლობაში, თუ რამდენიმე კაცი სცემდა?

პალატის სხდომა საღამოს 5 საათზე შესწყდა და მხოლოდ 8 საათზე განახლდა.

**ექიმმა ელიაშვილმა** ექსპერტიზის ბჭობის შედეგი წაიკითხა. ექსპერტიზამ დაინახა, რომ ტანზე და პირზე ზიანი, ბებუთოვისათვის მიუყენებიათ მაისის შუა რიცხვებში. სახეზე ჭრილობები ნაფხაჭნი და დალილავებული ადგილები გამოწვეულია ბლაგვი იარაღით და აგრეთვე წაქცევის ან ბრძოლის დროს. ჭრილობა ნიკაპზე გამოწვეულია რომელიმე მაგარი საგნით. ლურჯი ზოლი მხრებზე და ხელებზე გამოწვეულია მოგრძო საგნით, როგორიცაა თოკი ან სხვა საგანი. პირველი კითხვა აღნიშნული ჭრილობებიან ადგილებს ეკუთვნის. ფიზიკური ტანჯვა სულ მცირეა. რა ხნის განმავლობაში ხდებოდა ამ ზიანის მიყენება, ამის გამორკვევა შეუძლებელია. შემდეგ სიტყვა მიეცა ბრალმდებელს **კოროლიოვს**. მან აღნიშნა, რომ საქმის გარემოება არ შეცვლილა. დაწვრილებით შეეხო საბუთებზე და მოწმეების ჩვენებაზე. ექსპერტიზამ დაამოწმა ის ჩვენება, რომელიც ოლქის სასამართლოში სთქვა. ბებუთოვის ჩვენება საყურადღებოა და მართალი, ამიტომ ბრალმდებელი თხოულობს ბრალდებულების დასჯას კან. დებ. 1489 მუხლის ძალით.

საღამოს სხდომა 12 საათამდე გაგრძელდა. სხდომა განახლდა გუშინ დილის 10 საათზე და 30 წამზე.

დიდხანს ილაპარაკა ნაფ. ვექ. ბარათაშვილმა, შემდეგ კაზარინოვმა და სხვა დამცველებმა.

(გაგრძელება ხვალ)

## შალვა ნათაძის ხსოვნას

დიდს არას ვიტყვი, მაგრამ მაინც გულით მინდა საჯაროდ გამოვსთქვა ჩემი გლოვა ძვირფას შალვას უდროოდ დაკარგვის გამო.

[illegible]ოშვილის მეგობარი და ამხანაგი. მკვირცხლი, ნიჭიერი და ჭკვიანი.

შემდეგ... მესმოდა მისი კარგი ამბები, რომ ერთ საიმედო ყმაწვილად ითვლებოდა... ბოლოს... დუხჭირ ცხოვრებას გამო იძულებულ იქმნა გადახვეწილიყო ჩვენგან და...

აი უაზრო, ბნელი სიკვდილი დაეუფლა მას...

ვსტირი კარგ ყმაწვილს, ვგლოვ მეგობარს, და სულით და გულით ვიზიარებ მის ჭირისუფლების უზომო მწუხარებას.

**ბლ. ყალაბეგიშვილი.**

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

10 იანვარი.

**სტამბოლი.** დიდმა ვეზირმა გახსნა ეროვნულ კრების სხდომა სულთანის სახელით. ზავის სასარგებლოდ ილაპარაკა რამდენიმე წევრმა, მათ შორის დამად-შერივ-ფაშამ. მხოლოდ უფროსი ბრალმდებელი იყო ომის მომხრე. საიდ-ფაშამ იკითხა: ოფიციალური ხასიათი აქვს თუ არა კრებასო? ქიამილ-ფაშამ უარყოფით უპასუხა. საერთო ტენდენცია ზავის მხარეს იყო, მხოლოდ გამოითქვა სურვილი, რომ მთავრობამ დაიცვას ქვეყნის ინტერესებიო. სამხედრო მინისტრად ნამყოფი მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშა, და დიდ ვეზირად ნამყოფი ჰაკი ფაშა, წევრნი „ერთობა და პროგრესის“ კომიტეტისა, ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ დაესწრნენ.

**სოფია.** „მირი“ უკმაყოფილებას აცხადებს იმ ბრალდების გამო თითქოს ბულგარეთის ჯარი დაპყრობილ მიწა-წყალში სასტიკად იქცეოდეს. ბულგარეთი პროგრესისა და თავისუფლების სახელმწიფოა, მოქალაქენი, განურჩევლად სარწმუნოებისა, სრულის თავისუფლებით ჰსარგებლობენ; ბულგარეთის მუსულმანობას ომის დროსაც კი, ბულგარეთი არ მიუტოვებია და ყოველთვის თანაგრძნობას უცხადებდა იგი ბულგარებს. შესაძლებელია ზოგი ერთ ადგილას აღშფოთებული ქრისტიანენი ოსმალთა ჯარის ამოყრას ლამობდნენ, მაგრამ ბულგარეთის ჯარის მისვლის უმალ მყარდებოდა მშვიდობიანობა და სიწყნარე.

**ათინა.** გენერალი საპუნძაკისი დეპეშით იტყობინება: მარცხენა ფრთის იერიშის მიტანა იანინზე გზების უვარგისობის გამო ფერხდებოდა. შუაგული იანინის მდელოზე იმყოფება დეჟიდ ფუადის უკანა ქედზე. მარჯვენა ფრთა იმყოფება ბიზან-კოცელიოსთან. შერეული ჯარი ლოზეტიდან უკუქცეულ ჯარს მდევრად გამოეკიდა და რამდენიმე ზარბაზანი ხელთ იგდო. ოსმალთა დანაკლისი საგრძნობი არის.

**სტამბოლი.** მინისტრთა კაბინეთი, მათ საწინააღმდეგო მანიფესტაციის გამართვის გამო, გადადგა. მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშა დიდ ვეზირად დაინიშნა, იზეტ-ფაშა—სამხედრო მინისტრად და გენერალი სიმუსად. ახალი კაბინეთი 11 იანვარს საბოლოოდ შესდგება. ქალაქში მშვიდობიანობაა.

**ლონდონი.** პრესა ერთხმად გამოსთქვამს სიამოვნებას ოსმალეთის მთავრობიან პასუხს. პრესის აზრით ზავი უზრუნველყოფილია. გაზეთების უმრავლესობას მოჰყავს რეიტერის ცნობით ნურადუნგიანის სიტყვები, რომ რუსეთი ჩაერევა ომში თუ ოსმალეთმა სიკერპე და ჯიუტობა გამოიჩინაო. რეიტერის ცნობით, ოსმალეთის დათმობამ ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მოლაპარაკება მალე ვერ გათავდებაო. ჰფიქრობენ, სამშვიდობო კონფერენცია 14 იანვარს შეიკრიბება. საზოგადოდ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი, კერძოდ კონტრიბუციის საკითხი. ოსმალთა ვალი დათმობილ პროვინციებისა 300 მილიონ ფრანკს უდრის. ზავი ერთ თვეზე ადრე არ ჩამოვარდება. ამის შემდეგ ბალკანეთის დელეგატები დარჩებიან ლონდონში ბალკანეთის საზღვრების გამოსარკვევად. ჩერნოგორიის დელეგატებმა სთქვეს სკუტარი ჩერნოგორიისთვის მთავარი საჭირ ბოროტო საკითხია, რის გულისთვისაც მზად არის იგი სისხლი დაღვაროს.

## ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები

**ბელგრადი.** სერბიის ვენელი ელჩი მოვიდა. იმედი გამოსთქვა, რომ სერბია-ალბანეთის საზღვრის საკითხი სერბიის სასარგებლოდ გადასწყდებაო. იოვანონოვიჩი სერბიაში ჩამოვიდა სერბიის და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა ურთიერთობის შესასწავლად. თუმცა სერბია და ავსტრიის განწყობილება ვერ არის კეთილ სასურველი, მაგრამ შიში არაფრისაა.

**რომი.** დიპლომატთა წრეში დიდად აფასებენ ოსმალეთის დათმობის გზაზე დადგომას. სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით იტალიის და ავსტრიის პოლიტიკა ბალკანეთის სახელმწიფოთა მიმართ ერთგვარია იმდენად, რამდენადაც ალბანეთის დამოუკიდებლობის საკითხი აერთებს მათ ინტერესებს. კუნძულთა საკითხში, რომელიც ჯერ კიდევ იტალიის ხელშია, იტალია ემყარება ლოზანის ხელშეკრულებას და არავითარი სურვილი არა აქვს თავისთვის დაიწარჩუნოს ისინი.

**ვენა.** „ნეი-ფრეი-პრესე“ უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც მოწვეული სათადარიგო ჯარის-კაცნი, მთავრობამ დაითხოვაო. მართალია, თითო-ოროლა შემთხვევა ყოფილა ჯარის-კაცის დათხოვნისა, მაგრამ მთელ ჯარის დათხოვნაზე ლაპარაკიც მეტიაო.

**ბუდაპეშტი.** სარაევოდან მოვიდა არნაუტთა საზოგადო მოღვაწე დერვიშ-ფაშა მინისტრ-პრეზიდენტისთვის არნაუტთა მემორანდუმის გადასაცემად.

**ბერლინი.** თანახმად სერბიელთა მემორანდუმისა ალბანეთის საზღვრის საკითხზე, რომელიც ელჩთა კონფერენციას უკვე გადაეცა, სერბია მზად არის დაპყრობილ ალაგებიდან ჯარი უკანვე გამოიწვიოს. მემორანდუმში ნათქვამია, რომ სკუტარი სერბიის პირველ სახელმწიფოს დედა ქალაქი იყო. მართალია, იპეკსა და ლაკოვში უმრავლესობა ალბანელები არიან მაგრამ ახლო-მახლო ოლქნი მეჩვიდმეტე საუკუნემდე სერბიას ეკუთვნოდაო. არავის შეუძლიან, არც ჩერნოგორიის და არც სერბიის მთავრობას დაუთმოს ეს წმინდა ადგილი სხვა ვისმე. სერბიის ხალხი ამ საკითხში კომპრომისის გზას ვერ დაადგება. ალბანეთის და სერბიის ბუნებრივი საზღვარი არის ადრიატიკის ერთის მარივ და პრეშპის, ოხრიდის და ბელი დრინის შუა მდებარე ადგილი. მხოლოდ ეს საზღვარი დააკმაყოფილებს სერბიელთა კანონიერ ინტერესებს.

**ლონდონი.** რეიტერს სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ოსმალეთის კაბინეთი გადადგა. დიდ ვეზირად დაინიშნა მაჰმუდ-შევკეტ-ფაშა, თალათ-ბეი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგედ, იზეტ-ფაშა სამხედრო მინისტრად.

რეიტერის კორესპონდენტი ეწვია თალატ ბეის. მინისტრმა სთქვა: „დღევანდელი მოძრაობა იმას ჰნიშნავს, რომ ჩვენ გარდავწყვიტეთ დავიცვათ სახელმწიფოს ღირსება, ან დავიღუპეთო. ჩვენ არ გვინდოდა ომის გაგრძელება, მაგრამ გარდაწყვეტილი გვაქვს ადრიანოპოლი დავიცვათო. ეს არის conditio sine qua non. ყოფილი დოლვეზორი. ჰაკი-ფაშა გარეშე მინისტრად დაინიშნა, ენვერ-ბეი ქალაქის უფროსად.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

10 იანვარი.

### საზღვარ-გარეთ

**პარიზი.** მთავრობის დეკლარაციაში გამოთქმული იქნება სურვილი, რაც შეიძლება მალე გაიყვანონ სამოქალაქო სამსახურის წესდება და არჩევნების რეფორმა. განზრახულია აგრეთვე გააგრძელონ მუშაობა სოციალურ რეფორმების განსახორციელებლად. მუშაობაში რესპუბლიკანელთა უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას. ახალი კაბინეტი პარასკევს წარუდგება პალატას.

**კრაკოვი.** აქაური დიდი გაზეთი „ნოვია რეფორმა“ პრუსიის პოლიციის წინააღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებს გაზეთ „გონეც ველიკოპოლსკის“ სტამბის გაჩხრეკის გამო.

**კრაკოვი.** გარდაიცვალა ცნობილი ფიზიკოსი.

**ბერლინი.** ვილჰელმ იმპერატორის შვილი პრინცი პრუსიისა ალბერტი წითელით ავად გახდა.

**ქრისტიანია.** მეფემ სტორტინგი სეფე სიტყვით გახსნა.

**ლისაბონი.** დამტვირთველთა სინდიკატმა გაფიცვა გამოაცხადა.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა მონღოლეთის საგანგებო მისია, მადლობის გადასახდელად, მონღოლეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. მისიამ ხელმწიფეს, დედოფალს და მემკვიდრეს საჩუქრები მიართვა.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს 839 ნომერი გაზეთ „ჟენიკ პეტერბურგი“.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ ექვსი თვის ციხე და უფლების შეზღუდვა მიუსაჯა ბურჟოჰსტრის ბლოხს, ნიუსტადის მაგისტრის სედერმანს დაფრაკს.

**პეტერბურგი.** „რუსკოე მოლვის“ რედაქტორს გადაუწყვიტეს 3 თვის ციხე.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა [illegible] ხელმძღვანელი „გოლოს [illegible]სა“ ძმა ნადეპუტატარ გუჩკოვისა, გუჩკოვი.

## თეატრი და ხელოვნება

**ი. ზარდალიშვილის ბენეფისი.** „ჰუგენოტების ამოჟლეტა“-მ, რომელიც საბენეფისოდ აერჩია ჩვენს ნიჭიერ მსახიობს, დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ სწორედ თვისი ნიჭის დამახასიათებელი პიესა მოუძებნია მობენეფისეს. რასაც ბევრი ჩვენი მსახიობი ვერ დაიკვეხს. ძველ კარლოსის როლის ასრულებით, ამ საღამოს ბ. ზარდალიშვილმა ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახვა, თუ რა თვალსაჩინო მომავლის დამპირებელია მისი სასცენო ნიჭი ქართულ თეატრისათვის. სხვა და სხვა დროს და ადგილს, ჩვენ გვინახავს ამ როლის ასრულებელნი, როგორც ძველი, ისე ახალგაზდა მსახიობნიც, მაგრამ ის, რაც ბ. ზარდალიშვილმა თვისი ხელოვნური განსახიერებით გადმოგვცა, ჯერ არაოდეს არ გვიგრძვნია. მისმა საზრიანმა თამაშმა თვალნათლად წარმოგვიდგინა უბედური გვირგვინოსანი, რომლის წამებული სულიც აქამდე ებრძვის მას გარშემო დაკვიდრებულ გაირყვნილების სამეფოს, რომელსაც სისხლიანად მოუყვანე ქრისტიანთა ამოჟლეტით ჰსურს ამ ქვეყნად მშვიდობის საუფლოველის დამყარება. კარლოსის როლი იმდენად ძნელი და ძნელია სულიერ განცდათა სიუხვით და უცნაური ფერ—ცვალებადობით, რომ მისი სავსებით განსახიერება, მართლაც რომ მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ. ბ. ზარდალიშვილის მოქმედებამ მთლიანი სისრულით შეასხა ხორცი ამ დიდად პასუხსაგებ როლს. სახის თვით უმნიშვნელო ხაზიდან დაწყებული, ურთულეს სულიერ განცდამდე, იგი სრულიად უნაკლულო და წუნდაუდებელი იყო.

დედოფლის როლში (ეკატერინე მედიჩი) ქ-ნი ქიქოძე მეორედ ვნახეთ და, გამოტეხილი სჯობია, წარმატება ვერ შევამჩნიეთ პირველ საღამოსთან შედარებით; თანაც ამ საღამოს, არ ვიცით რათა, ენა რაღაც უცნაუროდ უბორძიკდებოდა.

მობენეფისეს ღირსეული თანაშემწე იყო ქ-ნი დავითაშვილი. მან ჩვეულებრივი გულწრფელობითა და დაკვირვებით განასახიერა მარგარიტას სპეტაკი სახე. ჰენრი ნავარელის როლი არ შეეფერება ბ. ძგალობლიშვილის ტემპერამენტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როლი მაინც არ გაუმრუდებია. მშვენივრად შეასრულეს თვისი პატარა როლები

---

ობაზე ქაღალდს ადგენენ. ამ ქაღალდს მოახსენებენ ხოლმე და არა საქმეს.

ყველანი მიხვდნენ, რაშიაც იყო საქმე. მეც მივხვდი და, დარწმუნებული ჩემს სიმართლეში, დამშვიდებულის კილოთი ვუთხარი თავმჯდომარეს:

— როდესაც თანამდებობის ასრულებას ჰკისრულობენ, მგონი საჭიროა გაიცნონ მაინც იმ დაწესებულების წესდება, სადაც აპირობენ მოქმედებას. ბ-ნ იურისკონსულტს, როგორც ეტყობა ჰგონია, ვითომც იგი ამიერ-კავკასიის სენატის დეპარტამენტის განყოფილებაშია, აქ კი სენატი არსად არის.

იმის შემდეგ საბუთებით დაუმტკიცებია ყიფიანს, რომ საქმეს ისე აწარმოებდა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა. როზოვი ჩაჩუმდა, მაგრამ თავისი შერცხვენა არ დაივიწყა. ერთ სხდომაზე ისეთი კილოთი დაუწყო ლაპარაკი ყიფიანს, რომ ყოველ ზომას გადასცილდა. „ჩემი განთქმული მოთმინება, ამბობს დიმიტრი, გაქრა. ავკანკალდი, თითქოს შემაციაო, წამოვავლე მაგიდიდან უშველებელ შუშის სამელნეს და ეს იყო შუბლში უნდა გამერტყა ამ ბოროტ კაცისათვის, მაგრამ საბჭოს წევრებმა კოცებუმ და დესიმონმა მტაცეს ხელში და შემაჩერეს, ხოლო საბჭოს თავმჯდომარემ ასეთის სასტიკი სიტყვებით მიჰმართა როზოვს: „ბ. იურის-კონსულტო, უნდა შეგნიშნოთ, რომ თქვენ გავიწყდებათ ადგილი და წრე, სადაც იმყოფებით. ვანა არ გესმით, რომ ამგვარის ბრალდებით თქვენ შეურაცხყოფთ ყველას აქ მყოფთ. რატომ გგონიათ, რომ არ გვესმის ჩვენი უფლება-მოვალეობა. ამ ხანად ამ შენიშვნით დავკმაყოფილდები, მაგრამ, თუ გაგიმეორებიათ, ჟურნალში შევატანინებ ყოველივეს და წარუდგენ სადაც ჯერ არს. გთხოვთ, დიმიტრი ივანიჩ, განაგრძეთ თქვენი მოხსენება“.

ამის შემდეგ სადილად შეხვედრილან თავმჯდომარეს ოჯახში. როზოვი ხელს აწვდის. ყიფიანი არ ესალმება.

— თქვენ? თქვენ?.. აქ არ არის თქვენი ადგილი. თქვენ არავინ მოგცემდათ ხელს არამც თუ აქ, ძველ საეროზო უპრავაშიაც. ჩვენ აქ პატიოსანი ხალხი ვართ, თქვენ კი, განა გაქვთ წარმოდგენა, რა არის პატიოსნება“.

ბოლოს, როგორც იყო, თ. ვ. ბებუთოვმა შეარიგა. მაგრამ როზოვი დიდხანს აღარ დარჩენილა კავკასიაში.

8.

როგორც ვსთქვით, დიმიტრი ყიფიანს 1838 წ. ქუთაისში მოუხდა სამსახური. აქ დიდხანს არ დარჩენილა იმ ხანებში, ხოლო აქედამ იწყება მისი გაცნობა დასავლეთ საქართველოსი, სადაც, შემდეგში, სამეგრელოს მთავარის საქმეების თაობაზე მან შესამჩნევი მოღვაწეობა გასწია, რასაც ჩვენ თავის დროზე გავეცნობით. ეხლა კი ქუთაისში ყოფნის დროს იგი დაინტერესებულია გურიის თავგადასავლით. ეს იყო მოისპო გურიის დამოუკიდებლობა, და სამთავრო ექვემდებარება რუსეთს. ეს გარემოება დიმიტრის მხრივ პროტესტს არ იწვევს. რუს-იმპერატორების მმართველობა სიკეთე საქართველოსთვის, სიკეთეა გურიისთვისაც, როგორც სიკეთე იქნება ახლო მომავალში ეს მმართველობა სამეგრელოსთვის, აფხაზეთსა და სვანეთისათვის. აქ არავითარი ეჭვი არ არის. თავი და თავი ის არის მხოლოდ, რომ აქაც, როგორც საქართველოშიაც მოხელენი აფუჭებენ საქმეს, მოხელენი სჩაგვრენ და ავიწროვებენ ხალხს და საპიროო მხილება ამ ბოროტებისა. აი პრინციპი, რომელთაც ხელმძღვანელობს დიმიტრი ყიფიანის დასავლეთ საქართველოს ვითარების დაფასების დროს.

დიმიტრის ქაღალდებში არის ერთი საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც მოგვითხრობს გურიის მთავრის მამია გურიელის და მის ოჯახის თავ-გადასავალს. იმერეთის დამოუკიდებლობის მოსპობისა და სოლომონ მეფის ტრაპეზონში გაქცევის შემდეგ 1811 წელს, გურიის მთავარი, მამია გურიელი, რომელიც სოლომონთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, გადამეტებულად შეწუხებული ოსმალების მიერ, რუსეთს სთხოვს მფარველობას. რუსეთი თანახმაა და ალექსანდრე I აძლევს მამიას უმაღლესად დამტკიცებულ „გრამატას“, სადაც ადასტურებს მთავრის მემკვიდრეობით უფლებებს ხოლო მამია გურიელის სიკვდილის შემდეგ (1826 წ.) მისი მემკვიდრე დავით ჯერ კიდევ მცირე წლოვანია და საქმეებს განაგებდა დედოფალი სოფიო, მამიას ქვრივი. მაგრამ მთავრობა დედოფალს არ ენდობა. მას უნდა, რომ დედოფალი საბჭოს დახმარებით სწყვეტდეს საქმეებს. საბჭო შესდგებოდა ადგილობრივ თავადაზნაურთა წევრთაგან. (ერისთავი, თავდგირიძე, ნაკაშიძე, მაჭუტაძე და სხვანი). დედოფალს ეს წესი არ მოსწონდა. ეთაკილებოდა თავმჯდომარეობა და სწყუროდა დამოუკიდებლობა. ასე რომ დიდად უკმაყოფილო იყო და რუს-ოსმალეთის ომის დროს მიდის ოსმალეთში. თან მიჰყავს პატარა დავით და ახალგაზდა ქალიშვილი ეკატერინე ანუ ეკა. 1829 წელს მთავრის ცოლი კვდება. თავად-აზნაურნი, მხლებელნი დედოფლისა, მფარველობას უწევენ ობლებს. ახალგაზდა ეკას მახეს უგებდნენ და ჰარამხანაში შესასვლელად ამზადებდნენ. მაგრამ ეკა არას გზით არ სთანხმდება. დიდი მწუხარებისა გამო ეკა ფსიხიურად გახდება ავად. ბოლოს მთავრობა ნებას აძლევს უკან დაბრუნებისას. ეკას ნათესავები თ. ჩიჩუას მიათხოვებენ. დავით აბარებენ პაჟთა კორპუსში. აფიცრად გამოსვლისთანავე იგი მოკლულ იქნა დაღესტანში, ლეკებთან შეტაკების დროს 1839 წ. და რუსეთი საბოლოვოდ მკვიდრდება გურიაში.

1840 წელს კი ე. ი. ერთი წლის შემდეგ მთელი გურია ფეხზეა წამომდგარი და აჯანყებულნი იარაღს ისხამენ რუსეთის წინააღმდეგ. რა მოხდა? რითი იყო გამოწვეული ხალხის არეულობა? „ხალხის წყრომა, ვკითხულობთ დიმიტრის „მოგონებებში“, არეულობაა იგი თუ აჯანყება, ხელოვნურად არის გამოწვეული უმეტესს შემთხვევაში, როგორც გურიაში, მმართველთა მიუხვედრილობის წყალობით. არევდარევენ საქმეებს, თითონ კი მშრალად გამოდიან“. გურიაში, ყიფიანის აზრით, 1841 წლის არეულობა იყო გამოწვეული ორის მიზეზით. ერთი მიზეზი ის იყო, რომ ხარჯს ფულად ახდევინებდნენ. მეორე, ის, რომ ძალად ათესვინებდნენ კარტოფილს. მთელს გურიაში ფულად ჯამაგირი ეძლეოდა მხოლოდ ერთ შტაბ-ოფიცერს (600 მანეთი). სხვა მოხელეებს, ნატურალურის წესით ისტუმრებდნენ. „მაშასადამე ადმინისტრაციას შეჰქონდა გურიაში 600 მან. მაგრამ ეს ფულიც ქუთაისში მიდიოდა, რადგან მხოლოდ იქ შეიძლებოდა ხორბლის, ჩაის, ყავის, შაქრის და ტანისამოსის ყიდვა. ვაჭრობა როგორიღა იყო? ერთად-ერთი დვაბზუ იყო, სადაც 20—30 პატარა ქოხში ოსმალები ვაჭრობდნენ. ოსმალური ფარა ტრიალებდა ფულად. მაგრამ ეს ისეთი ფულია, რომ ხელის გულზე რომ ასი დაგეწყოთ, ერთის შებერვით გაიფრენდით. ფარას ღირებულება 1/20 კაპეიკისა. აშკარაა, რომ ფულის გადასახადის დაწესება 1840 წ. სრულიად მოუფიქრებელი საქმე იყო. მაგრამ რაკი მოახდინეს განკარგულება, პოლიცია ითხოვდა კიდევაც ფულს. და ვინც უარობდა, ექზეკუციას უყენებდნენ. ამას მიუმატეთ ბრძანება კარტოფილის თესვისა. კარტოფილი, კარგი რამეა, ვინ რას იტყვის, ხოლო გურულები ღომსა და სიმინდს არიან შეჩვეულნი. ღომიც და სიმინდიც ბლომად ჰქონდათ, მოუსავლიანობაც არ აწუხებდათ. მაშ რაღად უნდოდათ კარტოფილი? „Не смѣть разсуждать“! აქვე უნდა ითქვას, რომ გურულები ფრიად თავმომწონე ხალხია. სახლებში კი ყაზახები ჩაუყენეს და განმეორდა ის, რაც იყო კახეთში 1811 წელს: მომეც, რაც არა გაქვს და სჰმე, რაც არ გინდაო.“

რაკი გურიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გავიხსენოთ აფხაზეთიც. საგულისხმოა საუბარი, რომელიც ჰქონდა ყიფიანს მეფის მოადგილესთან, მურავიოვთან. მოვიყვან მთელ ეპიზოდს, რომელიც არ არის ინტერეს მოკლებული. 1854 წელს დიმიტრი სამმარ კანცელარიის დირექტორი იყო თავ. ვასილ ბებუთოვის გალაშქრების დროს ომერ-ფაშას წინააღმდეგ.

რუსეთის მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ აღმოსავლეთის ომის დროს გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს არ ეღალატნა რუსეთისთვის. გურიის ერთგულებაში დარწმუნებული იყო, სამეგრელოც არ აწუხებდა, აფხაზეთის შესახებ კი, ეჭვები ჰქონდა. ნამდვილად არ იყო დარწმუნებული თ-დ მიხეილ შერვაშიძე, აფხაზეთის მთავარი რას ჰფიქრობს და რა გუნებაზეა. ამ საქმის გამოსაძიებლად დიმიტრი ყიფიანი იყო გაგზავნილი აფხაზეთში. ყიფიანმა ზედმიწევნით გამოიკვლია საქმე, და დარწმუნდა, რომ თ-დ მიხეილი ომერ-ფაშას შემოსვლის დროსაც არ ღალატობდა რუსეთის ხელმწიფეს. საყურადღებოა ერთი დიალოგი, რომელიც ჩაწერილი ჰქონდა დ. ყიფიანს თავის მოხსენებაში, რომელიც თავ. ბებუთოვს წარუდგინა. საუბარია თ. მიხეილ შერვაშიძესა და ომერ-ფაშას შორის. ომერ ფაშა ეკითხება თავ. მიხეილს, ხალხს რად აფიცებდით.

— **მიხეილ.** ჩემი უფლება, მგონი, ჯერ არ წამრთმევია, გენერალო. ჩემი სამთავროს შინაურ საქმეებში რუსები არ ერეოდნენ. იმედი მაქვს, რომ არც ეხლა იქნება საჭიროება ამგვარ ჩარევისათვის. მშვიდობიანობის დამყარება ჩემზე უნდა იყოს დამოკიდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს ვერ ვაგებ მოვალეობისათვის.

— **ომერ ფაშა.** თქვენს საქმეებში არავინ ჩაერევა. მითხარით, თქვენი ოჯახი რატომ აქ არ არის?

— **მიხეილი.** ჩემი ცოლი თავის მამასთანაა (სამეგრელოში). მამა არ უშვებს. . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

— **ომერ-ფაშა.** ამბობენ, რუსებს არ ღალატობთ და ტფილისის მთავრობასთან მიწერ-მოწერა გაქვთ.

ქ-ნა თ. გოგოლაშვილმა და ბ. გუნიამ.

თუმცა ქართულ წარმოდგენებს წესად დაედვათ დიდი ანტრაქტები, მაგრამ ამ საღამოს კი მეტის-მეტი იყო. სრულიად ვერ გავიგეთ, რა მოსაზრება მოითხოვს 15 წუთიან ანტრაქტს მაშინ, როდესაც შემდეგი მოქმედებისთვის სცენაზე სრულიად არაფერი იცვლება.

**კოლხი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში შემდეგი მოათავსოთ: ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი გულითადს მადლობას უცხადებს **თავადს დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილს და მის დებს,** რომელთაც თავიანთი განსვენებული დედის კნეინა ანნა იაგორის ასულის ჩოლოყაშვილის სახსოვრად სათავად-აზნაურო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შემოსწირეს 500 მან. ამასთანავე გამგე კომიტეტმა დაადგინა ამ შემოწირულებაზე მახლობელ საზოგადო კრებას მოახსენოს.

**გამგეობამ მიიღო შემოწირულება** აგრეთვე შემდეგ პირთაგან: ქ-ნ ქ. ვ. თამამშევისაგან—100 მ., ბ-ნ ი. ა. მანსვეტაშვილისაგან—100 მ., კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისაგან—15 მ., ბ-ნ კიტა აბაშიძისაგან—10 მ. კნ. მ. ორბელიანიხამ და კიტა აბაშიძემ ეს ფული შემოსწირეს იმ გვირგვინის ნაცვლად, რომლითაც უნდა შეემკოთ ამას წინათ გარდაცვალებულ ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის ცხედარი. იმავე გამგეობამ მიიღო აგრეთვე ქ-ნ თ. ნ. პლემიანიკოვისაგან ვანსვენებულ მის შვილს სახსოვრად—15 მ. და ქ-ნ ნ. ივ. თაყაიშვილისაგან—5 მან. რაზედაც საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას მოახსენებს ყველა შემომწირველთ.

**გამგე კომიტეტი.**

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო: დეკანოზ ივ. შიუკაშვილსა და მღვდლებს: ვ. მაისურაძეს, ს. ალადაშვილს, მ. ელიზბარაშვილს და ს. კანდელაკს, და მთავარ-დიაკონ ინაშვილს რომ მათგან შემოწირული ხუთი მანეთი მივიღე, რისთვისაც ქ. შ. წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობის სახელით მადლობას ვუძღვნი.

გამგეობის წევრი—ხაზინადარი

**ვ. პაატაშვილი.**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ნება გვიბოძოთ პატივცემულ თქვენი გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ, ქვემოთ დასახელებულ პატივცემულ პირთ, რომლებმაც აკეთის უფასო სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება.

ქ. პიატიგორსკიდან, მივიღეთ ვლასა სიმონისძე თოხაძისაგან, მის ნაცნობებში მოგროვილი თერთმეტი მანეთი და ორი შაური (11 მან. 10 კაპ.).

შემომწირველთა სია: ვლასა სიმონისძე თოხაძემ, იოსებ ნ. ჩხატარაიშვილმა, მიხეილ გ. წეროძემ და გერასიმე ს. თოხაძემ, თითომ, თითო მანეთი (1 მ.) ილიკო პ. ჩალაძემ, აბესალომ წერეთელმა, პორფილე ქაფიანიძემ, Зиновей Нетіоминъ, შოთა გ. სალუქვაძემ, პიმენ ა. გოცირიძემ, ნესტორ რეხვიაშვილმა, ნესტორ გავაშელიშვილმა, გერასიმე ლომჯანიძემ, დავით იორ. მეტრეველმა, სერგო კ. გოცირიძემ, და მიხეილ ი. ლომიძემ თითომ ათ-ათი შაური (50 კაპ.) ლადო არ. ლომიაძემ და არტემ ნ. გვენეტაძემ ორ-ორი აბაზი (40 კ.) ბიქტორ გიორგობიანმა ექვსი შაური. სულ 11 მ. 10 კ. ამასთანავე უდიდეს მადლობას ვუძღვნით, ვინც ჩვენს, ჟურნალ-გაზეთებს, მოკლებულ სამკითხველოს, გამოუწერეს გასულ წელში ჟურნალ გაზეთები.

პორფილე დავითისძე ქეიშვილს, ჟურნალებ, „Недѣля და Вѣстникъ Знанія“-ს და გაზ. „სახალხო გაზეთი“-ს გამოწერისთვის. ივლიანე ესეს-ძე ქანტურიშვილს ჟურნ. „შრომის კავშირი“-ს გამოწერისთვის. შალვა ესეს-ძე ქანტურიაშვილს გაზ. „Копѣйка“-ს გამოწერისთვის. ხოლო ანდრო ქეიშვილს გაზ. „მერცხალი“-ს გამოწერისთვის, რომელიც ეხლა მოგვდის...

— სულით და გულით ვუსურვებთ ჩვენი საზოგადოების შვილებს, რომლებიც ცხოვრობენ დაბა-ქალაქებში და აგრეთვე ნაცნობთ, რომლებსაც შესტკივათ გული, ასეთ კულტურულ-გამანათლებელ-გასმაგრწყინვებელ, საზოგადოების არსებობისათვის, და მათგანაც მოგველის ასეთი შემწეობები, და ხალხის გონებრივ განვითარებისათვის ხელი შეგვიწყვეს. სამკითხველოს დღესდღეობით შედარებით მკითხველი საკმაო ჰყავს, მაგრამ საკითხავ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს (მოთხოვნილების თანახმათ) მოკლებულნი ვართ. მოგმართავთ პატივცემულნო პირნო, აღმოგვიჩინოთ დახმარება.

აკეთის (გურია) უფასო სამკითხველოს გამგეობის მონდობ. გამგეობის წევრი

**კ. ბერძნიშვილი**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

---

— **მიხეილი.** რომ გითხრათ, გენერალო, ხონთქრის ერთგული ვარ, უფლება გექნებოდათ ამგვარი რწმუნება ჩემს სულმოკლეობას მიაწეროთ, საჭიროდ არ მიმაჩნია დაგიმალოთ, რომ ძალა, სალსარი და ლონე მაქვს რუს ხელმწიფის წყალობით. გარემოებამ აიძულა რუსებს გასულიყვნენ აქედამ. მე თითონ გავიყვანე აქედამ. უბრალო მასპინძელის ვალიც კი მავალებდა, რომ როდესაც შინ დავბრუნდი, მაგათ წინაალმდეგ არ მემოქმედნა. თუ ეხლანდელ მთავრობას (ოსმალეთს) არ მოსწონს ჩემი საქციელი, წავალ ჩემს სამფლობელოდან. უსაბუთოდ კი არავინ დამაბრალოს, რომ ვისმესთან ორჭოფული დამოკიდებულება მქონოდეს“.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ დიმიტრი მძიმედ ხდება ავად. ის იყო ცოტათი მობრუნდა და უკეთ გახდა, როგორც ეწვია დილით უცნობი კაცი.

— ვინა გნებავთ? სუსტის ხმით ვეკითხები.

— გავბედავ და მოგახსენებთ—თქვენა ბძანდებით გენერალ-ყიფიანი? უნებლიედ გამეცინა და უთხარი—თქვენ გინდათ სთქვათ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი! ჰო!..

— მისი მაღლად-აღმატებულება ნიკოლოზ ნიკოლაევიჩი (მურავიოვი) გთხოვთ მობძანდეთ სადილად 3 საათზე.

მეცინება, მოახსენეთ, მეთქი, რა მდგომარეობაში ვარ.

— იციან, რომ თქვენი აღმატებულება ავად ბძანდებით. მაგრამ მაინც გთხოვენ.

— ექიმს ვკითხავ, და თუ ნებას მომცემს...

ეს კაცი კამერდინერი იყო მურავიოვისა. კამერდინერი წავიდა. დილის 10 საათი იქნებოდა. ჩემი ექიმი იყო სოლ. არტ. ამირაღოვი, ეხლა ტაინი სოვეტნიკი.

— არაფერია, მითხრა. შიში არ არის. თბილი ქურქი ჩაიცვით და ისე წადით.

რა ამბავია? რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან მრისხანე მურავიოვს. მაგრამ ვინ რას მეტყოდა.

ჩამაცვეს სუსტსა და ფერმიხდილსა, გამახვიეს და გამგზავნეს სასახლეში. ძლივს ავედი კიბეზე. შემოდის თ. გიორგი მუხრანსკი, ჩემი ძვირფასი გიორგი, რომელმაც საბჭოში როზოვის ადგილი დაიჭირა,—შემდეგში კი სენატორი და სტატს-სეკრეტარი. ისიც სადილად. მას მოჰყვა გენ. ლუკაში, ტფილისის გუბერნატორი. კიდე ვიღაც. ბოლოს თითონ მასპინძელი გამოჩნდა. საზოგადო, დარბაისლური სალამი ყველას. მიგვიწვიეს სუფრაზე. სადილობის დროს თავდაჭერილი საუბარი. ვგრძნობ, რომ მასპინძელი ჩემსკენ ხშირად იყურება.

— აი ეს იგემეთ, მეუბნებოდა, ამას ნუ მიირთმევთ. აი ეს ღვინო გადაჰკარით, ძალიან გარგებთ.

მართლაც, ხერესმა და კახურმა გამამაბრუნეს. სადილის ბოლოში ისე მოვსურიელდი, რომ საზოგადო ლაპარაკში ვიღებდი მონაწილეობას. ნასადილევს, ნამესტნიკმა გამომიწვია სასტუმროში, დამსვა სუფრაზე და მითხრა, თუ არ გაგიძნელდებათ, მინდა მოგელაპარაკოთ შერვაშიძის თაობაზედ.

...საჭიროდ არ მიმაჩნია ლაპარაკი იმაზედ, რომ ჩემ მიერ შეგროვილ ცნობების გაშუქებაზე პირადად ჩემ გრძნობას გავლენა არა ჰქონდა, იმ უნებლიეთ სურვილს, რომ ღალატს ადგილი არ ჰქონდა, რადგან ღალატი გამტყუნება იქნებოდა იმ მთავრობისა, რომელსაც მე ვემსახურებოდი და რომელიც ჩემთვის ძვირფასი და სამღვთო იყო. რაც კი გავიგე გამოკითხვის დროს იმერეთსა, გურიასა თუ სამეგრელოში, ან ყველა იმათგან, ვისაც აინტერესებდა თ. შერვაშიძეს ბედი, ან ვინც გულგრილად ეკიდებოდნენ მას, ან იმათგან, ვინც არ მალავდა თავის სურვილს, რომ შერვაშიძე მოღალატეთ გამოსულიყო—ყველა ამის მიხედვით სრულიად დავრწმუნდი, რომ მიხეილ შერვაშიძე, მაშინაც კი, როდესაც ომერ-ფაშაც ემორჩილებოდა, მოქმედობდა თავის მოვალეობის შეგნების მიხედვით, მოქმედობდა, როგორც ერთგული ხელმწიფე იმპერატორისა და მის დიდებულების გენერალ-ადიუტანტი.

ამის შესახებ ვრცელი მოხსენება წარვადგინე 1855 წ. ოქტომბერში, და ეს მოხსენება, რასაკვირველია, წაკითხული ჰქონდა მურავიოვს. მაგრამ მას უნდოდა დაწვრილებით გაეგო საქმე და ის მოსაზრებანი და დასკვნანი, რომელიც მქონდა მოყვანილი ჩემს საიდუმლო მოხსენებაში. ხოლო ჩემს მიერ გავლილი სულის გვარჯიშების სკოლაში საკმარისი გაკვეთილი მქონდა იმ აზრის შეთვისებისათვის, რომ ყოველთვის საჭიროა გაბედული და პირდაპირი ლაპარაკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეკითხებოდნენ.

მურავიოვი მეკამათებოდა. ისეთ შენიშვნებს მაძლევდა, რომ ადამიანი აირეოდა, მტკიცედ რომ არ სცოდნოდა თავისი საგანი. მაგრამ მე მოლაქუცობაზე შორს ვიყავი, არ ვიკარებდი იმ მონურ გრძნობას, რომელსაც თითქმის ყველა ხელქვეითებში ჰპოვებდა მურავიოვი. მე კარგად ვგრძნობდი, რასაც ვლაპარაკობდი.

მეორე დღეს თ. ვასილ ბებუთოვმა მნახა და გამარჯვებულის კილოთი გამამიცხადა, რომ მურავიოვმა დამნიშნა თავის კანცელარიის დირექტორად.“

(შემდეგი იქნება)

**არჩილ ჯორჯაძე.**

---

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს. 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან ტყიბულს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**ტყიბულიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. 5 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 19, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6?9).

5—6 **ტ. მ. თბთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 7?5).

8—9 **ნ. დ. ზატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მიხაილის**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **ა. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

6, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


# განცხადებანი

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. ბეგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ: კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. სბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1104 დოქტორი **ბ. ა. ნ გახარდიანი.**

---

**დ. ზესტაფონში**

**ექიმი** ?-ლისა ბაბილინა ცხადა

იღებს ავადმყოფებს დღისით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

---

**8 იანვარს, მცხეთიდან ჩამოსვლისას** სახლის წინ მიტანილ **ბარგიდან** (მინკვიცევსკის ქუჩა, № 20,)

**დავკარგე პატარა ჩემოდანი,**

ტანისამოსითა და სხვა ნივთებით. სხვათა შორის შიგ იყო **მ წმიდა** წინამძღვარიახთ კარის სასწავლებლისა **ვლადიმერ იონის იოსებაძის** სახელობაზე. მპოვნელსა სთხოვენ გადასცენ ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში არჩილ იოსებაძეს. 3

---

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას რომ 9 იანვრიდან

**გ ა ვ ხ ს ე ნ ი ვაგზლის ქუჩაზე, № 14,**

## სასადილო „მინგრელია“,

სადაც **მზადდება ქართული** და **იმერული საჭმელები: ღომი, მჭადი საცივი,** ჩიხირთმა, კუპატი, ხაჭაპური და სხვა და აგრეთვე ევროპიულიც, აგრეთვე ვაძლევთ სადილებს სახლებშიაც. გვაქვს ყოველნაირი მაგარი სასმელები.

38 პატივის ცემით **ს. ელიავა.**

---

ა ხ ლ ა დ გ ა ი ხ ს ნ ა

## სამშობიარო თავშესაფარი

## ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა.

**მუდმივი საწოლებით.**

ავადმყოფ. მიღება ყოველ დროს სწარმოებს. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. ამბულატორიის გამგე **ექიმ ავეტისოვისა.** ავადმყოფებს იღებს დილის 11—12 ს.

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

---

## 10 მან. თვეში

**ვამზადებთ, ძლიერ ბეჯითად ბავშვებს,** მაისისა და აგვისტოს ეგზამენებზე მისაღებად: გიმნაზიაში, კადეტ-კორპუსში, სათავადაზნაურო, რეალურ, კომერციულ და სასულიერო სასწავლებლებში 1, 2, 3 და 4 კლასში. (ჩვენმა შეგირდებმა ძლიერ ბეჯითად დაიჭირეს ეგზამენი შარშან და იქმნენ მიღებულნი ზემოხსენებულ სასწავლებლებში ძლიერ მცირე ხანში გავდივართ მთელს კურსს მათემატიკისას, ვასწორებთ სუსტ მოწაფეებს, რომელთაც აქვს [illegible] ლეთში „ორები“, როგორც მათემატიკაში, [illegible] რეთვე ყველა საგნებში. ჩუღურეთის შესახვევ № 5. პირველ კომერციულ სასწავლებლის ახლოს, ეკატერინის ქუჩის ბოლოს. მიღება 9— 2 ს. 3—4 ს. 36.

---

# გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა

## „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

მუხრანის კერძო

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | | **დილით:** |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და [illegible] | **სპექტიორი გ. მ.** | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. ძ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი ზ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| [illegible] | **ზრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილ. და საბებ. | **ექიმი-ქალი საყვარელიძე ლ. ზ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| სნეულ. ყურ., ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^1/_2$ ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | |
|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . . ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . . 60 |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . . 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . . 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . . 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . . 1 მ.— | — — ტ. II . . . 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I 75 „ |
| „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. 60 „ | — — იგავ-არაკნი . 50 „ |

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. 976).

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comptoir-ში. მასალიები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, საველსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ილოგის საშოვნელად, მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო. იმათგან 42 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. 1107